ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის 2022 წლის კითხვარის ანგარიში

1.ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბვშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი მოსახლეობას სთავაზობს სპორტულ მომსახურებას მათ შორის სასპორტო სკოლის კომპლექსი აერთიანებს 2 სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა (47 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (7 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (12 ბავშვი); კალათბურთი (40 ბავშვი. სულ კომპლექსში სპორტის სახეობებს ეუფლება 106 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 4-5კომპლექსის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საერთაშორისო.

2.2022 წელს გამოყოფილი იყო 163 700,00 ლარი.საკუთარი შემოსავალის გეგმა კი 2000,00 ლარი.2021 წელს სუბსიდია იყო გეგმით-141221,00 ლარი ,გრანტი-5525,00 ლარი.მათ შორის შრომის ანაზღაურებაში გაიხარჯა-80814,00 ლარი,სპორტულ ღონისძიებებში-15697.00 ლარი, საქინელსა და მომსაურებაში-23076,00 ლარი.გრანტი გაიხარჯა რბილ ინვენტარსა და უნიფორმის შეძენაში.2022 წლის ხარჯვის ნაწილი შეადგენდა 145 715,00 ლარს.აქედან შრომის ანაზღაურებაში გაიხარჯა 74310,00 ლარი.დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში 38623,00 ლარი.საქონელსა და მომსახურებაში 327892,00 ლარი .საკუთარი შემოსავლიდან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაში გაიხარჯა 739,00 ლარი.საწესდებო მოთხოვნების შესაბამისად მოსახლეობის მომსახურებას ხელი გარკვეულწილად შეეწყო ხელი,ჩატარდა სპორტული ღონისძიებები,იყო ხელფასის მომატებაც,რამაც მოტივაცია გაუჩინა დასქმებულ პერსონალს და მოსახლეობას ქონდა ღონისძიებების ნახვის შესაძლებობა.

3, ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი-ს პროფილის მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა, მათი მეთოდური აღზრდა და სპორტული დაოსტატება.მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდების შედგენა,პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროგრამების, გეგმების შემუშავება და წრთვნების მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველყოფა,ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის უწყვეტი მომზადება,საწვრთვნელო მუშაობაში თანამედროვე სიახლეების დანერგვა,პროფილის მიხედვით მუნიციპალური ღონისძიებების კალენდარის შემუშავება და მისი შესრულების უზრუნველყოფა,რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება,სპორტული გამოცდილების მიღების ხელშეწყობის, ბავშვებსა და მოზარდებში უკეთესი შედეგების მისაღწევად მოტივაციის ამაღლების მხარდაჭერის მიზნით. მწვრთნელთა კვალიფიკაციის სისტემატიური ამაღლების ხელშეწყობა. პროფილის მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა სპორტული განვითარებისათვის უწყვეტი,

თანმიმდევრული მუშაობის უზრუნველყოფა,სპორტული უნარ-ჩვევების საფუძვლების სწავლება, ასაკის შესაბამისად, გარკვეულ საფეხურამდე, წარმატებულ სპორტსმენად აღზრდა. ბავშვებსა და მოზარდებში სპორტის მიმართ ზოგადი უნარების სრულყოფა, რაც გამოიხატება:

ა) ბავშვთა და მოზარდთათვის ფიზიკური განვითარების,მოტორული უნარების განვითარების ხელშეწყობაში, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაში და დამკვიდრებაში, ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობისა და საჭიროების გაცნობიერებაში და ორგანიზებულობის აღზრდაში:

ბ)ფიზიკური თვისებებისა და ტექნიკური ელემენტების და განვითარების და გამოყენების უნარების აღზრდაში,რასაც აქტიურად გამოიყენებენ სპორტის ინდივიდუალურ და სათამაშო (გუნდური,ინდივიდუალური) სახეობებში.

გ) ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობის, როგორც ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სოციალიზაციის ხელშემწყობი საშუალების მნიშვნელობის გაცნობიერებაში:

დ) სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობების საშუალებით ორგანიზებულობის განვითარების, თვითკონტროლის, ემოციების მართვის დისციპლინის, უსაფრთხოების, ძირითადი წესების და სამართლიანი თამაშის წესების დაცვის გამოვლენაში.

4. საანგარიში წელს დაგეგმილი იყო 36 სპორტული ღონისძიება, როგორც ადგილობრივი ისე გასვლითი ტურნირები. აქედან ჩატარდა 26 სპორტული ღონისძიება. სპორტულ ღონისძიებებში დაგეგმილი იყო 43899 ლარი, გაიხარჯა-38623 ლარი.მ.შ როგორც რესპუბლიკურ ისე საერთაშორისო ტურნირებში მივიღეთ მონაწილეობა,გვყავდა 6 საქართველოს ნაკრების წევრი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში.მათ შორის რომელიც ყველაზე უფრო აღსანიშნავია თავისუფალ ჭიდაობაში დიდებს შორის, გვყავდა მსოფლიოსა და ევროპის მესამე პრიზიორი მირიან მაისურაძე და 23 წლამდელთა შორის მსოფლიოს მესამე პრიზიორიც.კალათბურთში სკოლის ასაკში ვაჟებს შორის გავხდით რეგიონის გამარჯვებული.

ქვეპროგრამის მიზანია:

- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;

- მეტი მზარდის ჩაბმა სპორტულ აქტივობებში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება;

- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.სპორტული ღონისსძიებების მაღალ დონეზე ჩატარება.

5.მერიის მიერ გადმოცემული ქონება (შენობა,მიწის ნაკვეთი) შეძლებისდაგვარად გამოყენებული არის მიზნობრივად. შენობა დატვირთულია ,მიმდინარეობს მეცადინეობები და ტარდება დაგეგმილი ღონისძიებები. არაპროფილური ქონება სასპორტო სკოლას არა აქვს.

6.ჩვენი ორგანიზაცია საოფისე ფართით უზრუნველყოფილია, დასაქმებულებს აქვს სათანადო პირობები ფუნქცია მოვალეობების შესრულებისათვის.

7.განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად საჭირო ინვენტარი და მატერიალური რესურსი ამ ეტამპზე დასაქმებულთათვის საკმარისია და ხელის შემშლელი პირობები არ არის.

8.ონის სასპორტო სკოლაში დასაქმებულია 19 ადამიანი . მათ შორის ჭიდაობის მწვრთნელი 5.3-კვალიფიცირებული 2- არაკვალიფიცირებული. კალათბურთის მწვრთნელი-2.1-კვალიფიცირებული 1- არაკვალიფიცირებული და ვგეგმავთ 2023 წელს მათ გადამზადებას . დანარჩენი დასაქმებულები არიან სტაჟირებული .წამახალისებელი ღონისძიებები დასაქმებულთათის არ არის.რაც შეეხება მეთოდურ მუშაობას მიმდინარეობს მათი სისტემატიური გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ მითითება.

9 წლის მანძილზე ჩატარდა 4 სხდომა სადაც განხილული იყო მწვრთნელების ანაზღაურების საკითხი, მწვრთნელთა მუშაობა სპორტსმენებთან და მათი შედეგების შედარებით მაღალ საფეხურზე გასვლა,შედეგი იქნა გამოღებული, მწვრთნელთა ანაზღაურება გაიზარდა და მადლობა ონის მუნიციპალიტეტის მერიას.

10.დასაქმებულების მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობის და ხარისხის შეფასება ხდება სპორტსმენების დადებულ შედეგებზე, სამსახური ორიენტირებულია მიაღწიოს წარმატებებს, დასახულ მიზანს,ცდილობს რაც შეიძლება ორგანიზაცია წარმართოს ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად,მიიღოს მონაწილეობა ყველა დაგეგმილ ღონისძიებებში.

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის

დირექტორი ტარიელ ბერელიძე